განათლების საკითხების გაშუქება საზოგადოებრივ მაუწყებელზე

კვლევის ანგარიში

2016 წელი, ოქტომბერი

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია კოალიციის „განათლება ყველასათვის - საქართველო“ დაკვეთით „გამოყენებით კვლევების კომპანიის“ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები. კვლევის ამოცანას წარმოადგენდა შეესწავლა თუ რამდენად პრიორიტეტულია საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის განათლების საკითხების გაშუქება. კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა სამაგიდო კვლევა (Desk Research) და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. კვლევა განხორციელდა 2016 წლის 15 სექტემბრიდან 27 დეკემბრის პერიოდში.

კვლევის მიზანი და ამოცანა

კვლევის მიზანი იყო მიეწოდებინა კოალიციისთვის საჭირო მტკიცებულებები / ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განათლების საკითხების გაშუქების ხარისხის თაობაზე.

კვლევის ამოცანა იყო შეესწავლა რამდენად პრიორიტეტულია საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის განათლების საკითხების გაშუქება.

კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდათ გამოყენებული იქნა სამაგიდო კვლევა და კვლევის თვისებრივი მეთოდი ჩაღრმავებული ინტერვიუ.

სამაგიდო კვლევა

სამაგიდო კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა:

- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015-2016 წლების პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტი
- საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015 წლის ანგარიში
- პირველი არხის სამაუწყებლო ბადე
- მეორე არხის სამაუწყებლო ბადე
- რადიო 1-ის სამაუწყებლო
- რადიო 2-ის სამაუწყებლო ბადე

ინტერვიუები საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებთან

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე პირისპირ ინტერვიუები ჩატარდება საზოგადოებრივი მაუწყებლის შემდეგ წარმომადგენლებთან:

- სამეურვეო საბჭოს წევრი
- სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრი
- შემეცნებითი გდაცემების მიმართულების ხელმძღვანელი
- მედია ექსპერტი
- გადაცემა „რეალური სივრცის“ წამყვანი და პროდუსერი

საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ

სახელმწიფო ტელე-რადიო კორპორაციის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაიქმნა 2005 წლიდან. კანონი მაუწყებლობის შესახებ საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 23 დეკემბერს მიიღო და ძალაში 2005 წლის 18 იანვარს შევიდა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ამჟამად აერთიანებს ორ ტელეარხს: „პირველი არხი“ (მაუწყებლობს 1956 წლიდან) და „მეორე არხი“ (მაუწყებლობს 1991 წლიდან) და ორ რადიო არხს: საქართველოს რადიო - პირველი არხი FM 102.4 (ეთერშია 1925 წლიდან) და რადიო ორი - ქართლი რადიო FM 100.9 (ეთერშია 1995 წლიდან).

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და გენერალური დირექტორი [1] . სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამულ პრიორიტეტებს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების, მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

კანონის მიხედვით სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის შესახებ რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მისია, ხედვა, ზოგადი პრინციპები

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხედვა: იყოს საქართველოში ყველაზე სანდო, ხარისხიანი, მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი მედია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მისია: პიროვნული თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და სოლიდარობით გაერთიანებული, კულტურული იდენტობის დამცველი მრავალფეროვანი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო-შემეცნებითი, საინფორმაციო და გასართობი მედია პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ზოგადი პრინციპები

[1] მაუწყებლობის შესახებ კანონი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866

სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015-2016 წლის პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტში მოცემულია მაუწყებლის ზოგადი პრინციპები რომელთა დაცვა მნიშნველოვანი და სავალდებულოა მაუწყებლის ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის:

- ჩართულობა
- მრავალფეროვნება და საყოველთაოობა
- ხარისხი და სანდოობა
- კრეატიულობა და ინოვაციურობა
- დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა
- ანგარიშვალდებულება

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ მაუწყებლის მენეჯმენტი და თანამშრომლები, მედია ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პროგრამული პრიორიტეტების შემუშავებისას სამუშაო ჯგუფისთვის ინფორმაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა 2015 წელს საქართველოს მასშტაბით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები. კვლევის შედეგების მიხედვით გამოიყო მედიამომხმარებლების ოთხი ჯგუფი, რომელთა შესაბამისადაც შემუშავდა პროგრამების თემატიკა:

- ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები
- შემეცნება, კულტურა და საზოგადოება
- გართობა და სპორტი
- სერიალები და საბავშვო გადაცემები

1. ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები

ამ მიმართულების გადაცემების პრიორიტეტებად განისაზღვრა:

1.1 საინფორმაციო გადაცემები/ახალი ამბები
1.2 პოლიტიკურ - ანალიტიკური გადაცემები
1.3 ჟურნალისტური გამოძიება

2. შემეცნება, კულტურა და საზოგადოება

ამ მიმართულებით საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებია:

2.1 ისტორიულ, ისტორიულ-პუბლიცისტური გადაცემები
2.2 გადაცემები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესახებ
2.3 გადაცემები ეკონომიკასა და ბიზნესზე
2.4 გადაცემები მოქალაქეების შესახებ
2.5 გადაცემები კულტურის შესახებ
2.6 გადაცემები მრავალფეროვნების შესახებ
2.7 გადაცემები უცხოური კულტურის სხვადასხვა სფეროს შესახებ
2.8 გადაცემები ადამიანის უფლებების და სამოქალაქო საზოგადოების საკითხების შესახებ

3. გართობა და სპორტი

ამ მიმართულებით საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებია:

3.1 მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე ფილმების შეძენა
3.2 ხარისხიანი იუმორისტული და სატირული გადაცემების შექმნა
3.3 ფართო საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სპორტული ასპარეზობების ტრანსლირება
3.4 გადაცემების შექმნა ქართული კულტურისთვის მნიშვნელოვან და გარკვეული ისტორიის მქონე სპორტის სახეობებზე, საქართველოში განვითარების პერსპექტივის მქონე სპორტის სახეობებზე
3.5 კულტურული, მასობრივი, სანახაობრივი ღონისძიებებისთვის /მუსიკალური კონცერტებისთვის, ლიტერატურული კონკურსებისა და ოლიმპიადებისთვის ეთერის დათმობა
3.6 ფართო საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პოპულარულ მეგაშოუებისთვის პრაიმ ტაიმის დათმობა
3.7 ორგანიზება გაუკეთოს მასობრივი ქორეოგრაფიულ ან მუსიკალურ კონკურსებს

საზოგადოებრივი მაუწყებლის არხების სამაუწყებლო პროდუქცია

2015 წლის ზაფხულში საზოგადობრივმა მაუწყებელმა 2015-2016 წლების პრიორიტეტებისა და სტრატეგიის შესაბამისი ახალი სამაუწყებლო იდეების და პროგრამების გამოსავლენად გამოაცხადა ორი კონკურსი. ერთი კონკურსი იყო ღია სადაც მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა დაინტერესებულ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს, ხოლო მეორე კონკურსი კი განკუთვნილი იყო თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებისთვის. ორივე კონკურსის ფარგლებში შემოსული პროექტებიდან სულ გაიმარჯვა 14-მა ტელე რადიო პროექტმა.

საზოგაოებრივი მაუწყებელი საკუთარი მისიიდან გამომდინარე სამაუწყებლო ჟანრების განსაზრვრისთვის ხელმძღვანელობს პრინციპით: ინფორმირება, განათლება, გართობა. ამასთან ეს სამი კომპონენტი არ აღიქმება როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პრინციპი. მაუწყებელი მიისწრაფვის, რომ ინფორმირება შეიცავდეს განათლების და გართობის ელემენტებს, გართობა განათლების და ინფორმირების, ხოლო განათლება ინფორმირების და გართობის ელემენტებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით საკუთარი აუდიტორიის ინტერესების დასაკმაყოფილებლად აშუქებს საზოგადობრივი ცხოვრების ყველა მხარეს. თემატიკის ჩამონათვალში მოცემულია შემდეგი სფეროები:

- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- კულტურა და ხელოვნება
- მეცნიერება
- რელიგია
- სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა
- ცხოვრების სტილი

საზოგადოებრივი მაუწყებლის თემატიკის ჩამონათვალში არ არის ცალკე გამოყოფილი განათლება. განათლება ნახსენებია მხოლოდ **მეცნიერების** თემატიკის განმარტებისას, სადაც ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი „ქმნის სადისკუსიო სივრცეს ქართული ენის და ზოგადად განათლების პრობლემატიკის და პერსპექტივების განსახილვევლად, მიაწვდის მომხმარებელს ინფორმაციას მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევათა შესახებ“.

საზოგადოებრივი მაუწყებლის არხები

საზოგადოებრივი მაუწყებლის შემადგენლობაში შემავალ თითოეულ სატელევიზიო და რადიო არხს (პირველი არხი, მეორე არხი, პირველი რადიო, რადიო 2) აქვს საკუთარი ვებ გვერდი, რომელზედაც გადასვლა საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ გვერდიდანაა შესაძლებელი. ამ თავში მოცემული ინფორმაციისას ვეყრდნობოდით საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ გვერებზე მოცემულ მასალას, გადაცემების განთავსებულ ვიდეო ჩანაწერებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის არხების ვებ გვერდების შესწავლა დაგვეხმარა იმის გარკვევაში, თუ რამდენად არის განათლების საკითხები გაშუქებული თითოეული არხის მიერ, რომელ გადაცემებში და რა ინტენსივობით შუქდებოდა განათლების სისტემის ესათუის პრობლემა, მიმდინარე მოვლენები.

პირველი არხი

პირველი არხის სამაუწყებლო პოლიტიკა მიმართულია საზოგადოებრივ პოლიტიკური საკითხების განხილვასა და შემეცნებითი პროდუქციის მიწოდებაზე. პირველი არხის სამაუწყებლო პროდუქცია შედგება 31 ადგილობრივი გადაცემისგან.

ცხრილი 1 გადაცემების ჩამონათვალი:

გადაცემა	გადაცემის მოკლე აღწერა
1. მოამბე	საინფორმაციო
2. მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად	პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და საზოგადოებრის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი თემების სიღრმისეული გაშუქება, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებების ყურადღების ცენტრში მოხვდა კვირის განმავლობაში
3. ქართული დოკუმენტალისტიკა	დოკუმენტური ფილმებიისტორიულ, სოციალურ, კულტურულ, რეგიონალურ, თანამედროვე პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მოვლენებზე
4. უცნობი მუსიკა	გადაცემა „არამეინსთრიმული“ მუსიკაზე, მუსიკაში კარგად გათვითცნობიერებული მსმენელისთვის
5. წითელი ზონა	ტოქ შოუ, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების სიღმისეული განხილვა
6. დილა პირველზე	საინფორმაციო გადაცემა
7. რეალური სივრცე	სოციალური ტოქ შოუ
8. ტელებლოგი	სატელევიზიო ფილმები საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ თემებზე
9. დღე მუზეუმში	გადაცემა საქართველოს მუზეუმებში განთავსებული განძის, კოლექციების, უნიკალური ექსპონატების შესახებ.
10. სიტყვების თამაში	გასართობ-ინტელექტუალური შოუ
11. პირადი ექიმი - მარი მალაზონია	სამედიცინო თოქ-შოუ რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ემსახურება
12. სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად	ქართულ და მსოფლიო სპორტში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების ანალიზი
13. დილის მოამბე	საინფორმაციო
14. ეკონომეტრი	გადაცემა ეკონომიკაზე, ბიზნესზე და ფინანსებზე
15. ვაშინგტონი დღეს	საერთაშორისო სიახლეები

16. სპორტის რეპორტაჟები	სპორტული გადაცემა
17. გამომძიებელი რეპორტიორი	საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დაფარული ფაქტებისა და მხარეების ძიება და გამოვლენა
18. ფერმა	გადაცემა სოფლის მეურნეობაზე, ფერმერული მეურნეობით დაინერესებული პირებისთვის
19. ინტერVIEW -	სიღრმისეულ ინტერვიუ პირებთან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
20. წიგნების თარო	ვიქტორინა მხატვრულ ლიტერატურაზე
21. ტელემანი	ვიქტორინა
22. მუსიკო♫ლოგოსი	დისკუსიები მუსიკის შესახებ კომპოზიტორებისა და შემსრულებლების მონაწილეობით
23. ვექტორი	საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივებზე
24. „მოამბე“ კვირას, ვასილ ივანოვ-ჩიქოვანთან ერთად	კვირის შემაჯამებელი საინფორმაციო ანალიტიკური
25. დღეები და ღამეები	კინოხელონება
26. შაბათს საღამოს ლიზასთან	მუსიკალური პროექტი
27. C სტუდია	ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სიახლეები
28. ეპოქა	კულტურა და ხელოვნება
29. გურმანია	გადაცემა კულინარიაზე
30. ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ	დოკუმენტური სერიალი ქართველ კინო და თეატრის მსახიობებზე
31. ხანმოკლე XX საუკუნე	გადაცემა მეოცე საუკუნის შესახებ (რევოლუციები, ომები, აღმოჩენები, ადამიანები და კულტურა)

პირველი არხის არსებული გადაცემებიდან უმეტესობას შემეცნებითი მნიშნველობა გააჩნია. თუმცა განათლების საკითხების გაშუქება, განათლების სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე დისკუსიისთვის ადგილი ეთმობა სამ გადაცემაში: მოამბე, დილა პირველზე და რეალური სივრცე.

გადაცემა „დილა პირველზე“

გადაცემაში „დილა პირველზე“ 2015-2016 წლებში გავიდა 43 სიუჟეტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა განათლების საკითხებს. სიუჟეტების საერთო ხანგძლოვობა იყო 260 წუთი. ზოგ შემთხვევაში ეს იყო ჟურნალისტის მიერ მომზადებული სიუჟეტები, ზოგ

შემთხვევაში კი მოწვეულ სტუმართან დიალოგი. სიუჟეტებში გაშუქებული იყო შემდეგი საკითხები:

1. ინკლუზიური განათლება, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სკოლებში არსებული გარემო
2. ცვლილებები უმაღლესი განათლების შესახებ კანონში
3. სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა ბავშვებისთვის (ბაღსა და სკოლას შორის)
4. საბავშვო ბაღების ახალი რეგულაციები
5. კანონპროექტი "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ"
6. თანამედროვე ტექნოლოგიები დანერგვის მნიშნველობა სასკოლო განათლების პროცეში
7. როგორია სტუდენტური ცხოვრება და რა შეღავათებით სარგებლობენ ქართველი ახალგაზრდები
8. 2015 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა განათლებაში
9. ელექტრონული წიგნები (სად და როგორ წავიკითხოთ წიგნები ონლაინრეჟიმში, ელექტრონული წიგნების უპირატესობები და უარყოფითი მხარეები, ელექტრონული ბიბლიოთეკა და წიგნთსაცავები)
10. სწავლა საზღვარგარეთ (საგრანტო კონკურსი ოქსფორდის უნივერსიტეტში, უფასო საწავლა საზღვარგარეთ
11. როგორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი (რა შეცდომებს უშვებენ მასწავლებლები ყველაზე ხშირად)
12. რა უფლებები აქვთ მოსწავლის მშობლებს და რა შეუძლიათ მოითხოვონ მათ სკოლისგან?
13. როგორია სასკოლო წიგნების ხარისხი?
14. თანამედროვე ტექნოლოგიები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის
15. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა
16. როგორ შევარჩიოთ წიგნები სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის?
17. ბიბლიოთეკები ("ცოცხალი წიგნები" რეგიონებში, ყვარლის ბიბლიოთეკა)
18. საატესტატო გამოცდებისთვის მომზადება (რა ღირს მოსწავლის მომზადება გამოცდებისთვის)
19. პროფესიული განათლება (ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები, რომელთაც აკადემიური ხარისხი არ სჭირდება, როგორ დავეუფლოთ პროფესიას უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების გარეშე?)
20. დასაქმება (სად და როგორ ვეძებოთ სამსახური, ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები და რჩევები,როგორ მოვახდინოთ საკუთარი თავის პრეზენტაცია)
21. სტაჟირება და გამოსაცდელი ვადა
22. დისტანციური სწავლება (როგორ მივიღოთ განათლება უფასოდ და ხარისხიანად)

გადაცემა მოამბე

გადაცემაში „მოამბე“ 2015-2016 წლების განმავლობაში გავიდა 69 სიუჟეტი განათლების საკითხებზე. სიუჟეტების საერთო ხანგრძლივობა 145 წუთი იყო.

მოამბეში გასული რეპორტაჟები ეხებოდა შემდეგ თემებს / საკითხებს:

1. საერთშორისო საგანმანათლებლო პროგრამები (ერასმუსის პროგრამა)
2. თსუ-ში მიმდინარე მოვლენები (სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები,თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა, თსუ-ს რექტორის კანდიდატურა, „აუდიტორია 115“ პროტესტი, სტუდენტების აქციები)
3. პროექტი “პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის”
4. განათლება პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში
5. **განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული შეხვედრები** (კერძო სექტორის პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები, პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა)
6. განათლების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას შეხვედრები პედაგოგებთან (ზუგდიდი, ფოთი, სენაკი, საჩხერე, ბათუმი)
7. **ღონისძიებები განათლების მინისტრის მონაწილეობით** (სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვება, პროფესიული განათლების რეფორმის ახალი ინიციატივის პრეზენტაცია, განათლების სამინისტროს სტრატეგიის შემუშავების მიზნით სამუშაო შეხვედრა
8. **განათლების მინისტრის გამოხმაურებები პრობლემურ სიტუაციებზე** (ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენები, ასპინძის რაიონში სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის კონფლიქტის, თსუ-ში განვითარებული მოვლენები)
9. **განათლების მინისტრის მოსაზრებები განათლების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით** (პედაგოგები ტესტირების სისტემა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებები)
10. **განათლების სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრები** (ვიზიტი ბრიტანეთში,
11. **კონფერენციები** თბილისში (“ფინანსური განათლება ფინანსური კეთილდღეობისთვის” „მშობლის როლი განათლებაში“, შშმ მოზარდები სკოლის დასრულების შემდეგ)

12. პოლიტიკური პარტიების ბრალდებები განათლების მინისტრს / სამინისტროს ("პატრიოტთა ალიანსის" ბრალდება განათლების მინისტრს, ენმ: განათლების სამინიტრომ სასკოლო სახელმძღვანელოების შესაძენად ტენდერი არ გამოაცხადა)
13. საერთაშორისო თანამშრომლობა (აშშ-ში, საქართველოს საელჩოში საერთაშორისო განათლების ამერიკულ საბჭოებთან შეხვედრა გაიმართა, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა განათლების სფეროში)
14. პრემიერ მინისტრი განათლებაზე (განათლების სისტემის დეპოლიტიზაცია)
15. გიორგი გოგელია - ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი იარაღი განათლებაა
16. განრიდების პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნები მუსიკალურ განათლებას მიიღებენ
17. სოფლის სკოლების მდგომარეობა (კუმურდოს სკოლის შენობა)
18. ინკლუზიური განათლების პრობლემები (რას ედავებიან მოსწავლეთა მშობლები განათლების სამინისტროს)
19. პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია
20. განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტებისთვის დასაქმების ფორუმი გაიხსნა
21. სიახლეები უცხოელი სტუდენტებისთვის
22. თურქული სკოლა ბათუმში
23. გიორგი კვირიკაშვილი განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებულ სტუდენტებს შეხვდა
24. განათლების სამინისტროსა და პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს შორის შეთანხმების გაფორმება
25. განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტთა ფორუმი
26. ვიდეოგაკვეთილები - როგორ ხვდებიან განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას პედაგოგები და დარგის სპეციალისტები
27. საზღვარგარეთ სწავლა-დაფინანსებულ ახალგაზრდებს განათლების ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ
28. განათლების სფეროს რეფორმირება (სისტემის განვითარების სტრატეგიულ ხედვას პრემიერი და მთავრობის წევრები გაეცნენ)

გადაცემა „რეალური სივრცე“

„რეალური სივრცეში“ 2015 -2016 წლის განმავლობაში გასული გადაცემებიდან 32 გადაცემა მთლიანად ან ნაწილობრივ ეძღვნებოდა განათლების საკითხებს. ზოგ შემთხვევაში მთელი

გადაცემა ეთმობოდა განათლებას ან მასთან დაკავშირებულ საკითხებს, ზოგ შემთხვევაში კი ეს იყო გადაცემის ერთ-ერთი სიუჟეტი. ასეთი გადაცემების / სიუჟეტების საერთო ხანგრძლივობა იყო დაახლოებით 1090 წუთი (დაახლოებით 18 სთ). გადაცემებში გაშუქებული იყო შემდეგი საკითხები:

1. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე - არაფორმალური განათლების ყველაზე დიდი ცენტრი
2. სკოლა ქუჩის ნაცვლად -ბოშა ბავშვების სასკოლო პროცესში ჩართვა
3. ტესტირების სისტემა სასკოლო განათლებაში
4. სასკოლო განათლება „რეალურ სივრცეში“ -როგორ შევცვალოთ სკოლა
5. სხვადასხვა ასაკის ბავშვები ერთ კლასში
6. როგორ ამზადებენ საქართველოში სტუდენტებს მაღალი რისკის შემცველი პროფესიებისთვის;
7. თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის შეხვედრა სტუდენტებთან
8. დაგეგმილი ცვლილებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. პროფესიული განათლების გერმანული მოდელი და დასაქმების პერსპექტივები
10. განათლების საერთაშორისო ცენტრი - უცხოეთში განათლება, კონკურსის შესახებ
11. აუდიტორია 115 საუნივერსიტეტო რეფორმას აფასებს (უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების სამუშაო ვერსია)
12. ბაღების გათავისუფლებული დირექტორები უფლებებისთვის ბრძოლას განაგრძობენ;
13. სტუდენტების პროტესტი სუს-ის თანამშრომლის არსებობასზე
14. პედაგოგთა პროფესიული დონე
15. რა გამოცდებს აბარებენ დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდები; თსუ-ში კვლავ დაძაბულობაა
16. პროტესტი უნივერსიტეტში;
17. კანცლერის არჩევნები თსუ -ში
18. რას ითხოვენ თსუ-ის სტუდენტები აკადემიური საბჭოსგან
19. რას შეცვლის განათლების სისტემაში ახალი რეფორმა?
20. რა პროფესიის ადამიანები სჭირდება დღეს ქვეყანას.
21. განათლების საერთაშორისო ცენტრისა და საფრანგეთის მთავრობის ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამა
22. პასუხობს თუ არა უმაღლესი განათლების ხარისხი საქართველოში 21-ე საუკუნის გამოწვევებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
23. განათლების მინისტრის სამწლიანი ანგარიში; ქართულ-გერმანული ორდიპლომიანი საბაკალავრო პროგრამა ლოჯისტიკაში
24. საგანი „მე და საზოგადოება“ საპატრიარქოს რეაქცია
25. ინკლუზიური განათლება სკოლებში

26. სოფლის სკოლების / ბაღების პრობლემები (თეთრიწყაროს სოფლებში საბავშვო ბაღში სწავლის დაწყების დაგვაინება, სოფელი გუთურის სკოლის შენობა, სოფელ ჩაოს სკოლის პრობლემები, ციხისჯვარში საბავშო ბაღი არ აქვთ;

მეორე არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლი „მეორე არხი“ ორიენტირებულია პოლიტიკური მოვლენების, პოლიტიკური სუბიექტების ბრიფინგების გაშუქებაზე. მეორე არხის სამაუწყებლო ბადე შედგება 13 გადაცემისიგან.

ცხრილი 2 საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის გადაცემები

გადაცემა	მოკლე აღწერა
1. ჩვენი პარლამენტი	სამუშაო კვირის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტში, კომიტეტებში და პლენარულ სხდომებზე განხილული მნიშვნელოვანი საკითხებისა და კანონპროექტების მიმოხილვა,
2. არგუმენტების დრო	საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ
3. გამომძიებელი რეპორტიორი	საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დაფარული ფაქტებისა და მხარეების ძიება და გამოვლენა
4. მოამბე ნაციონალურ ენებზე	საინფორმაციოა გამოშვება აფხაზურად, ოსურად და რუსულად
5. ნამდვილი დრო	ახალი ამბების რუსულენოვანი სატელევიზიო გადაცემა
6. აფხაზეთი	აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა პრობლემებს; ხელისუფლების ხედვა პრობლემების მოსაგვარებლად.
7. სუპერ ეგო	ახალგაზრდების პრობლემატიკის შესახებ
8. პოლიტარტენატივა	პოლიტიკური გაერთიანებების აქტივობების, რეგიონებში მათ მიერ ჩატარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის წარმოჩენა
9. უნი ვერსია	
10. თავისუფალი ტრიბუნა	პოლიტიკური პარტიისა და გაერთიანების ინიციატივები, ხედვა და დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული მოვლენების მიმართ.
11. ბრიფინგის დრო	პოლიტიკური პარტიების ბრიფინგები, პროგრამაში ასევე შუქდება ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა.
12. ეპიცენტრი	გადაცემა ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესების შესახებ.
13. უნივერსიტეტი	თსუ-ს მნიშვნელოვანი სიახლეებისა და მოვლენების გაშუქება;

გადაცემების უმრავლესობა ეძღვნება პოლიტიკური პროცესების გაშუქებას. გამონაკლისს წარმოადგენ გადაცემა „უნივერსიტეტი“, რომელის წარმოადგენს თსუ-ს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივ პროექტს. გადაცემა გადის შაბათობით. არხის ვებ გვერდზე მოცემულია 15 გადაცემის ვიდეო ჩანაწერი, რომელიც 2015-2016 წლებშია მომზადებული. გადაცემები ეძღვენება თსუ-ს ისტორიას, მნიშნველოვანი თარიღების გაშუქებას, წარმატებულ მეცნიერთა, დოქტორანტთა და მკვლევართა საქმიანობების წარმოჩენას. ერთი გადაცემა ასევე მიეძღვნა სტუდენტების საპროტესტო აქციებს.

გადაცემება „უნივერსიტეტის“ გამოშვებები:

1. თსუ-ის გაზეთი 89 წლისაა;
2. თსუ-ის 98 წლის იუბილე;
3. მზექალა შანიძეს 90 წელი შეუსრულდა; ნინო ჯიბუტის მონოგრაფია; ლაშა ასანიძის გამოფენა - "იდუმალი მიწისქვეშა სამყარო";
4. მზექალა შანიძეს 90 წელი შეუსრულდა; ნინო ჯიბუტის მონოგრაფია; ლაშა ასანიძის გამოფენა - "იდუმალი მიწისქვეშა სამყარო";
5. რატომ აეხსნა თსუ-ს "შავი ბოქლომი"; ვიცე-რექტორის ახალი გეგმები; პროფესორი გოჩა ჯაფარიძე - ინტელექტუალთა ბანკის სტუმარი; ნაირა გელაშვილი - შეხვედრა მწერალთან;
6. "არიანე ჭანტურია - შეუვსებელი სიცარიელე";
7. როგორ უნდა ჩაერთონ თსუ-ის სტუდენტები სამეცნიერო საქმიანობაში?;
8. სალომე დუნდუას ინტელექტუალთა ბანკი; უნივერსიტეტის საპატიო დოქტორები;
9. როგორ დასრულდა სტუდენტური თვითმმართველობის საპროტესტო აქციები თსუ-ში? - პოზიციები, აქცენტები, გამოხმაურება;
10. "სვიმონ კლდიაშვილი – პირველი ქართველი დიპლომიანი არქიტექტორი";
11. შეხვედრა ქართველ ემიგრანტებთან; ლარის შემოღების 20 წლისთავი; სიახლე თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრში;
12. სასწავლო წლის დაწყების ცერემონია და აქცია უნივერსიტეტის ეზოში; რექტორობის მეორე წელი; თამარ გაგოშიძის ინტელექტუალთა ბანკი;
13. უნივერსიტეტი წარმოგიდგენთ - დოკუმენტური ფილმი „1+4“;
14. უნივერსიტეტი - როგორ შეხვდა საგამოცდო სეზონს უნივერსიტეტი?;
15. დედაქალაქში განვითარებული სტიქიური მოვლენები და უნივერსიტეტი.

ვებ გვედზე განთავსებული ვიდეო ფრაგმენტების კატეგორიები

პირველი არხის ვებ გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა გადაცემების ვიდეო ფრაგმენტები კატეგორიების მიხედვით. აღსანიშნავია რომ კატეგორიებში არ არის ცალკე გამოტანილი

„განათლება“, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ განათლება საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის არ წარმოაადგენს პრიორიტულ მიმართულებას.

ვიდეო ფრაგმენტების კატეგორიები:

1. ეკონომიკა
2. პოლიტიკა
3. სამართალი
4. არჩევნები
5. კრიმინალი
6. საზოგადოება
7. სპორტი
8. რიო 2016
9. რელიგია
10. კულტურა
11. რეგიონები
12. მსოფლიო
13. მედია
14. მედიცინა/ჯანდაცვა
15. მეცნიერება / ტექნოლოგიები
16. ეკოლოგია/ გარემო
17. ამინდი / სტიქია

თვისებრივი კვლევის შედეგები

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხების სამაუწყებლო პროდუქციის მიმოხილვისა და პრიორიტეტები დოკუმენტების შესწავლის გარდა ჩატარდა ინტერვიუები საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ყოფილ და მიმდინარე წევრებთან, პირველი არხის თანამშრომლებთან და მედია ექსპერტთან.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ

საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების შემუშავებისას სამეურვეო საბჭო ეყრდნობოდა ინფორმაციის რამოდენიმე წყაროს:

- საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები
- კანონი მაუწყებლობის შესახებ
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის რეკომენდაციები „ხედვა 2020“

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ საბოლოო ვერსიის მიღებამდე პრიორიტეტების სამუშაო ვერსია საზოგადოებას სხვადასხვა საშუალებებით წარუდგინა (ფეისბუქში სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელშიც შედიოდა სხვადასხვა სფეროს ექსპერტები, ინტერესთა ჯგუფები, პრეზენტაცია კომერციული მედიის წარმომადგენლებისთვის და პროფესიონალებთან რომლებიც მედიის საკითხებზე მუშაობენ). საბოლოო დოკუმენტის შემუშავებისას მოხდა მიღებული კომენტარების და შენიშვნების გათვალისწინება.

პრიორიტეტების დოკუმენტში არ არის დეტალური ჩაშლა სამოქმედო ამოცანების. თითოეული პრიორიტეტი არ არის დაკონკრეტებული, დაშლილი ქვესაკითხებად.

პრიორიტეტები არსებულ დოკუმენტში (2015-2016) განათლება არ არის ცალკე პრიორიტეტად გამოყოფილი. განათლება როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი გაგებულია როგორც საზოგადოებისთვის შემეცნებითი პროდუქციის მიწოდება. განათლება როგორც სფერო შედის სოციალური პოლიტიკის ნაწილში.

> *„სამწუხაროა, რომ განათლება არ არის ცალკე პრიორიტეტად გამოყოფილი. პრიორიტეტის დოკუმენტის შემუშავებისას ბევრი მასალის დამუშავება გვიხდებოდა. ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან შენიშვნაც კი მივიღეთ, იმის თაობაზე რომ განათლება არ არის ცალკე გამოყოფილი. მაგრამ იმ დროისთვის დოკუმენტი უკვე დამტკიცებული იყო. მე ვფიქრობ რომ მომავალში ეს ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას“*
>
> *სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრი*

საზოგადოებრივი მაუწყებლის საეთერო პროდუქცია განათლების საკითხების გაშუქების ჭრილში

პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების შემდეგ გამოცხადებულ შიდა და გარე კონკურსებში გამარჯვებული პროექტებში არ იყო არც ერთი გადაცემა, რომელიც მხოლოდ განათლების თემის გაშუქებას მიეძღვნებოდა.

ინტერვიუების პროცესში და დოკუმენტების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ პრიორიტეტების ზოგადი მიმართულებების გარდა, მაუწყებელს არ შეუმუშავებია უფრო დეტალური გეგმა (სამოქმედო გეგმა) როგორც პრიორიტეტების შესრულების სამოქმედო ინსტრუმენტი. შესაბამისად, არ არსებობს კრიტერირიუმები /ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც შეფასდება, რამდენად უპასუხა სამაუწყებლო პროდუქციამ საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიეტებს.

სამეურვეო საბჭოს დავალებით, თითოეული მიმართულება ამზადებს კვარტალურ ანგარიშებს იმის შესახებ, თუ რა თემებს / საკითხებს მიეძღვნა საანგარიშო პერიოდში მომზადებული გადაცემები. ამ ანგარიშების გაანალიზება შემდგომში დაეხმარება სამეურვეო საბჭოს შეაჯამოს განვლილი პერიოდის განმავლობაში რა თემებს / პრობლემებს მიეძღნა მეტი ყურადღება და რას შედარებით ნაკლები. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლები აცხადებენ, შესაძლოა ამის შემდეგ მოხდეს ახალი აქცენტების დასმა და გააზრება იმისა თუ რას უნდა დაეთმოს მომავალში მეტი ყურადღება.

იმის გამო, რომ არ არსებობს რაიმე რაოდენობრივი კრიტერიუმი ან თუნდაც მიახლოებითი ორიენტირი იმისა თუ რა პრობლემებს / სფეროებს რა რაოდენობის საეთერო დრო უნდა დაეთმოს და ასევე არ არის თითოეული პრიორიტეტი ქვესაკითხებად დაშლილი, სამეურვეო საბჭოსთვის რთული იქნება იმის გაანალიზება, თუ რამდენად უპასუხა არსებული პროდუქციით დასახულ მიზნებს.

თავად გადაცემების ავტორები / პროდუსერები და მიმართულებების ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ რაოდენობრივი კრიტერიუმების ან თუნდაც ზოგადი ორიენტირების დაწესება არ არის მიზანშეწონილი. გადაცემების თემატიკის შერჩევაში ავტორები თავისუფლები არიან, მათ არ აქვთ მიცემული კონკრეტული მითითებები ბორდის წევრების ან მენეჯმენტის მხრიდან. ისინი თვითონ ეძებენ აქტუალურ თემებს და იღებენ კონსულტაციებს ამათუიმ სფეროს ექსპერტებისგან მთავარი პრობლემების შესახებ:

> *„გადაცემა „რეალური სივრცის“ წამყანი და პროდუსერი იყვნენ ჩვენს ორგნიზაციაში, როცა იწყებოდა გადაცემების მომზადება. ისინი დაინტერესდნენ რა პრობლემებია განათლების სფეროში. გადაცემაში ხშირად არიან ხოლმე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ გადაცემის სამუშაო ჯგუფი საკმაოდ სერიოზულად უდგებიან განათლების საკითხების სიღრმისეულ გაშუქებას. “*
>
> *სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი*

გადაცემაში „რეალური სივრცე“ შუქდება განათლების საკითხები, თუმცა იმის გამო რომ ამ გადაცემამ სხვა საკითხებსაც უნდა დაუთმოს ეთერი, რთულია ამ ფორმატის გადაცემამ სიღრმისეული ხედვა შეუქმნას დაინტერესებულ პირებს იმის შესახებ თუ რა მიმართულებით ვითარდება დღეს განათლების სისტემა.

გადაცემა „რეალური სივრცის“ პროდუსერი აცხადებს რომ განათლების საკითხები გაშუქება მათი გადაცემის ერთერთი პრიორიტეტია, ის არამარტო მოვლენებს აშუქებს (მაგ.: პროტესტი უნივერსიტეტში, სტუდენტური აქციები...) არამედ უთმობს ეთერს არსებული პრობლემების უფრო ფართო და ღრმა გაშუქებისთვის. გადაცემის მომზადებისთვის სამუშაო ჯგუფის

წევრები ატარებენ წინასწარ ინტერვიუებს, კითხულობენ ინტერნეტში განთავსებულ მასალებს, ხვდებიან ექსპერტებს. ეს არის აუცილებელი იმისთვის, რომ კითხვები სწორად იყოს ფორმულირებული, გამოიკვეთოს სხვადასხვა მოსაზრებები პრობლემის გარშემო.

ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მზადაა ითანამშრომლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთნ, ექსპერტებთან, იმისათვის რომ მომავალში უფრო კარგად მოხდეს განათლების სფეროში არსებული პრობლემების და გამოწვევების წარმოჩენა.

რა უნდა შეიცვალოს მომავალში

1. **სახელმწიფო სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინება**

განათლება სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საქართველოს მთავრობის რეფორმების 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი პუნქტი სწორედ განათლები სფეროს რეფორმირებაა. ამ გეგმის მიხედვით განათლების რეფორმის მთავარი ამოცანებია:

პროფესიული განათლება:

- ახალი სასწავლო მოდელების შემუშავება
- დაფინანსების ახალ სისტემაზე გადასვლა
- შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლება

უმაღლესი სასწავლებლებისა და ზოგადი განათლების რეფორმა:

- შეფასების ახალი სისტემა
- დაფინანსების ახალი სისტემა
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება

მედია ექსპერტის აზრით მნიშვნელოვნია რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებში ასახული იქნას საქართველოს მთავრობის რეფორმის ძირითადი მიმართულებები. აქედან გამომდინარე განათლების სფეროში არსებული პრობლემების და გამოწყვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირება უნდა გახდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ ერთი გამოკვეთილი პრიორიტეტი.

> *„მედიის დანიშნულებაა რომ დაანახოს მაყურებელს რა გამოწვევების წინაშეა დღეს სახელმწიფო და საზოგადოება განათლების კუთხით“*
>
> *მედია ექსპერტი*

2. **საგანმანათლებლო გადაცემების / პროდუქციის მომზადება**

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურველო საბჭოს მოქმედი წევრების ხედვის მიხედვით საზოგადოებრვა მაუწყებელმა არა მარტო შემეცნებითი ხასიათის პროდუქცია უნდა შექმნას ან გააშუქოს განათლების სფეროში მიმდინარე მოვლენები, პრობლემები, არამედ უნდა შექმნას საგანმანათლებლო პროდუქცია. ეს შეიძლება იყოს ონ ლაინ სასწავლო კურსები, გაკვეთილების სერია, რომელიც შეიძლება განთავსდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ

გვერდზე. სამეურვეო საბჭოს წევრები თვლიან რომ ახლო მომავალში საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტი საგანმანათლებლო დანიშნულების პროდუქციის წარმოება უნდა გახდეს. ეს ჯერ ჯერობით იდეის დონეზეა და საჭიროებს დეტალურ განხილვას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეების მონაწილეობით (განათლების სამინისტრო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები..).

3. განათლების თემაზე ცალკე გადაცემის არსებობა

საზოგადოებრივ ტელევიზიაში უნდა არსებობდეს ცალკე გადაცემა, რომელიც თანმიმდევრულად გააშუქებს იმ პრობლემებს და გამოწვევებს, რომლის წინაშეც დღეს განათლების სისტემა დგას საქრთველოში. ამ თემის მიმართ საკმაოდ მაღალია საზოგადოების ინტერესი. ასეთი გადაცემის არსებობის შემთხვევაში ტელევიზიას ექნება შესაძლებლობა ერთ პრობლემას დაუთმოს გადაცემათა ციკლი.

> *„განათლების თემა ნამდვილად არის ის თემა რომელიც მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს ეხება. 62000 მასწავლებელია და მშობელი ბევრად მეტი.“*
>
> *მედია ექსპერტი*

> *„განათლებასთან ყველას აქვს ყოველდღიური შეხება, ადამიანი ან თვითონაა განათლების პროცესში ჩართული, თუ თვითონ არაა ვინმე მაინც ჰყავს მოსწავლე / სტუდენტი / მასწავლებელი ყველას ყავს შვილი, დაძმა, ნათესავი ვინც განათლები ან თვითონ“*
>
> *სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრი*

4. პრობლემის სიღრმისეული გაშუქება

მედიის ექსპერტის აზრით დღესდღეობით ქართული მედია არ არის მიჩვეული სიღრმისეული გადაცემების გაკეთებას. უფრო მეტად ორიენტირებულია სკანდალური თემების გაშუქებაზე, მწვავე მოვლენებზე ზედაპირულ რეაგირებაზე. კომერციული ტელევიზიისგან განსხვავებით საზოგადოებრივ ტელევიზიას შეუძლია არ იყოს ორიენტირებული რეიტინგებზე და აქცენტი გააკეთოს პრობლემის სიღმისეულ გაშუქებაზე.

> *„საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს ფუფუნება არ გამოეკიდოს რეიტინგს. მას არ გაქვს ვალდებულება რომ მხოლოდ სანახაობა შექმნას, მაგრამ გაქვს ვალდებულება რომ საზოგადოებას დაანახოს რა პერსპექტივები აქვს სახელმწიფოს და რა პრობლემები არსებობს ამ პერსპექტივების*

განხორციელებისას. საზოგადოებრივმა ტელევიზიამ უპირატესობა უნდა გამოიყენოს. რეიტინგი უნდა გაიკეთოს, იმით რომ შეიძლება არ ყავდეს ბევრი მაყურებელი, მაგრამ საზოგადოებას აწვდიდეს რეალურ ინფორმაციას, გარდაქმნას საზოგადოების გემოვნება. "

სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი

სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრის აზრით არ ხდება ტელევიზიაში განათლების საკითხების კვალიფიციურად გაშუქება. მართალია განათლება არ არის ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფილი, მაგრამ განათლება სოციალური პოლიტიკის ნაწილია, ამიტომ განათლების პოლიტიკის საკითხები მაინც ხდება ხოლმე გადაცემის თემა. თუმცა გადაცემების მომზადების ხარისხი ზოგჯერ არ არის დამაკმაყოფილებელი.

„არ ხდება ხოლმე ღრმა საგნობრივი მსჯელობა განათლების საკითხებზე, როგორც წესი ხდება ისე რომ ერთ წინადადებას ერთი იტყვის, მეორეს მეორე, ჟურნლისტები არ აცლიან ხოლმე აზრის დასრულებას, აწყვეტინებენ. ექსპერტს არ ეძლევა საშულება რომ რამოდენიმე წუთი უწყვეტად ისაუბროს საკითხზე."

სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრის მოსაზრებით მიწვეული ექსპერტების კომპეტენტურობა ზოგჯერ არ არის დამაკმაყოფილებელი. ამიტომ მნიშვნელოვანია რომ უფრო მეტი ყურადღებით მოხდეს სპიკერები შერჩევა. ხშირად ხდება რომ ექსპერტების სია, რომელთანაც მუშაობს მედია არის ერთფეროვანი. როგორც წესი ერთიდაიმავე ექსპერტები არიან ხოლმე გადაცემებში მოწვეული. საჭიროა მუდმივად ხდებოდეს ექსპერტების სიის განხლება, გამრავალფეროვნება.

ერთ ერთი პრობლემაა მედიის როლის ახლებული გააზრება. მედიის წარმომადგენლებმა უნდა გააცნობიერონ რომ საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევა ისევე მნიშვნელოვანია როგორც კრიტიკა.

„დღეს დღეობით მედიის როლი ჟურნლისტებს ჰგონიათ მხოლოდ მხილება. არ ხდება იმის გაცნობიერება რომ მედიამ უნდა მოახერხოს საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევა. ოპონენტების დაპირისპირება და ამით სანახაობის გაკეთება არის უფრო ადვილი, ვიდრე იმის დანახვა თუ საით მიდის ქვეყანა, როგორ მიაღწიო კონსენსუსს."

სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრი

5. **საზოგადოებივი საბჭოები**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნილებების ასახვის უზრუნველყოფის მიზნით „საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებაში“ 2011 წელს შევიდა ცვლილება რომელიც ითვალისწინებდა „საზოგადოებრივი საბჭოების“ შექმნას. ამ ცვლილების საფუძველზე შეიქმნა ერთი საზოგადოებრივი საბჭო რომელიც უფლებამოსილი იყო შეესწავლა საზოგადოებისთვი აქტუალური, პრობლემური საკითხები და საქმიანობის სფეროს მიხედვით შეემუშავებინა რეკომენდაციები საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის. დებულების მიხედვით საბჭო უნდა შედგებოდეს არუმეტეს 70 წევრისგან, ამასთან არანაკლებ 10 და არამეტეს 20 წევრისა უნდა იყო საქართველოს რეგიონებში მუდმივად მცხოვრები პირი. ამასთან თითო რეგიონიდან წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 2 წევრის. 2011 წელს შექმნილი საზოგოდებრივი საბჭო შედგებოდა 47 წევრისგან. თუმცა ექპსერტები მოსაზრებით არსებული საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობა არ იყო შედეგიანი. საზოგადოებრივი საბჭოებში გაერთიანებული იყო რელიგიურ, ეთნიკურ უმცირესობებზე და ქალის უფლებებზე მომუშავე ჯგუფები. საბჭოები წელიწადში 3 ჯერ ხვდებოდა სამეურვეო საბჭოს და რეკომენდაციებს აძლევდნენ, თუმცა ამ რეკომენდაციების გათვალისწინება არ ხდებოდა, არ იყო მოფიქრებული მექანიზმი, რომელიც ამ რეკომენდაციების გათვალისწინებას უზრუნველყოფდა. ამ ეტაპზე საზოგადოებრივი საბჭო აღარ ფუნქციონიებს.

ამჟამად არსებობს მზაობა რომ შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭოების ახალი მოდელი იმისათვის რომ ის იქცეს ქმედით ინსტრუმენტად. მიმდინარეობს „საზოგადოებრივი საბჭოები“ ახალი კონცეფციის შემუშავება. წინასწარი მონახაზის მიხედვით თითოეულ რეგიონში უნდა შეიქმნას რეგიონული საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები იქნებიან გაერთიანებულები (ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები, მასწავლებლები, თვითმმართველობის წარმომადგენლები, ადგილობრივი მაცხოვრებლები). კონცეფციის მიხედვით საბჭოები წელიწადში რამდენჯერმე უნდა ატარებდნენ ფოკუს ჯგუფებს, იმისათვის რომ საზოგადოების განწყობების შესახებ ინფორმაცია მიიტანონ სამეურვეო საბჭოებამდე.

> *„ეს საბჭოები უნდა იყვნენ დიალოგში სამეურვეო საბჭოსთან, რაღაც პერიოდულობით აკვირდებოდნენ გადაცემებს, ატარებდნენ ფოკუს ჯგუფებს, აფასებდნენ გადაცემების ხარისხს და საკითხების აქტუალურობას. ეს რეალობასთან უფრო მიახლოებულ სურათს მოგვცემს. საზოგადოებრივ საბჭოს ექნება Watch dog ის ფუნქცია. თუ საბჭოებში ჩავრთავთ მასწავლებლებს, ამ სახით გაიზრდება სამეურვეო საბჭოს ინფორმირებულობა ადგილობრივ დონეზე განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე.“*

სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრი

იმისათვის რომ განათლების სფეროში არსებული პრობლემების შესახებ მოხდეს დისკუსიის ინიცირება აუცილებელია ახალ საზოგადოებრივ საბჭოებში არსებობდეს განათლების სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც პერმანენტულად მიაწვდის რეკომენდაციებს სამეურვეო საბჭოს.

რეკომენდაციები

1. პროგრამული პრიორიტეტების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნას სახელმწიფოს სტრატეგიული მიმართულებები, შესაბამისად განათლების რეფორმა განისაზღვროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტად
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის 2017-2018 წლის პროგრამულ პრიორიტეტების ჩამონათვალში განათლება ცალკე პრიორიტეტის სახით იქნას გამოტანილი;
3. მენეჯმენტის მიერ შემუშავდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების განხორციელების სამოქმედო გეგმა და განისაზღვროს ინდიკატორები, რომლებიც გააჩენს შესაძლებლობას სტრატეგიული მიმართულებების მიღწევის შეფასებისათვის.
4. შეიქმნას დამოუკიდებელი მედია პროდუქტები (გადაცემა, ტოქ-შოუ და ა.შ.), რომელიც მიმართული იქნება განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების თანმიმდევრულ და სიღრმისეულ გაშუქებაზე;

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ;
2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2015 წლის ანგარიში;
3. სსიპ საზოგადიებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გადაწყეევეტილება სსიპ საზოგადიებრივი მაუწყებლის 2015-2016 წლის პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ, 2015 წელი, 10 ივლისი;
4. სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ „საზოგდოებრივი მაუწყებლის“ საზოგადოებრივი საბჭოს შექმნი და სსიპ „საზოგდოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

რესპონდენტები

1. მარინა მუსხელიშვილი, საზოგაოდებრივი მაუწყებლის სამეურვეოო საბჭოს წევრი
2. ნინო ზაუტაშვილი, გადაცემა „რეალური სივრცე“, წამყვანი
3. ქეთი კაპანაძე, გადაცემა „რეალური სივრცე“, პროდუსერი
4. გიორგი ბეროშვილი, საგანმანათლებლო შემეცნებითი მიმართულების ხელმძღვანელი
5. ლელა გაფრინდაშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრი
6. ნათელა სახოკია, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრი
7. ია ანთაძე, „სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი“, მედია ექსპერტი